



ხუსათთან ომის შედეგად საქართველოში ბასახეზი ეკონომიკური ჰოლიზმის ზოზიხითი თავისებუხეზის შესახებ

ვლადიმერ ვავავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი

რეზიუმე

2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისისა და რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის ნიშნები გამოიკვეთა, როცა მთლიანი შიგა პროდუქტის კლება დაფიქირდა [1]. ამ კრიზისს როგორც ეროვნული ფესვები აქვს, ისე გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენითაც არის განპირობებული. კერძოდ, თავი იჩინა წლების განმავლობაში დაშვებულმა შეცდომებმა.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი საერთაშორისო ფინანსური დახმარება

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, გლობალური ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით საქართველოს წინაშე ახალი ეკონომიკური გამოწვევები დადგა. კერძოდ, ესენია – ომით მიყენებული ეკონომიკური ზარალის ლიკვიდაცია, საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, ინფლაციის შედარებით მაღალი დონის შემდგომი ზრდის პრევენცია, ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება [2, 3].

2008 წლის 22 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიღებულ

იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველომ ფინანსური დახმარების სახით შეიძლება მიიღოს 4,55 მილიარდი აშშ დოლარი, საიდანაც 2 მლრდ გრანტია, 2,55 მლრდ კი კრედიტი [4]. საქართველომ ამ დახმარების მიღება დაიწყო 2008 წელს. ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა იმ უშუალო ეკონომიკური ზარალის აღმოსაფხვრელად, რაც საქართველოს რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად მიადგა, ნაწილი კი ქვეყნის ეკონომიკურ რეაბილიტაციას მოხმარდა.

ყურადსაღებია, რომ 4,55 მლრდ აშშ დოლარის დახმარება გათვალისწინებული იყო, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო (განასკუთრებით საბანკო) სექტორზე.

რუსული აგრესიის შედეგად კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქმნა გაეწია დამატებითი ხარჯები. უწინარეს ყოვლისა, მთავრობა ამ ადამიანებს დროებით საცხოვრებელ სახლებს უშენებდა, რამაც, ერთი მხრივ, ეკონომიკა გამოაცოცხლა – გააჩინა დამატებითი მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, დაასაქმა მუშახელი, მაგრამ მშენებლობაზე გაწეული ხარჯები საბოლოო ჯამში მოკლე ვადიან

პერიოდში მაინც ინფლაციური ხასიათის იყო, რადგანაც ამ სახლებს მთავრობა ყიდულობდა და არა კერძო პირები. მიუხედავად ამისა, მთავრობას სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

ომის შემდგომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ინვესტორები ცდილობდნენ უფრო მეტად უსაფრთხო ქვეყნებში განახორციელებინათ ინვესტიციები, ვიდრე ეს რუსული აგრესიის ქვეშ მყოფი საქართველო იყო. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მნიშვნელოვნად შემცირდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ თავის ნათესავებთან გადმორიცხული ფულადი გზავნილებიც. თუ კი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უკიდურესად უარყოფითი საგარეო სავაჭირო ბალანსი აქვს, სადაც იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ აღემატება გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას საფრთხე დაემუქრა.

ავვისტოს ომის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად სარეზერვო კრედიტის პროგრამით (შტანდ-By Arrangement) 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო, რომლიდანაც 250 მლნ უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა ეროვნული ბანკის რეზერვებში. 2009 წლის 6 ავვისტოს იმავე პროგრამის ფარგლებში ფონდმა საქართველოს დამატებით გამოუყო 420 მლნ აშშ დოლარი, ხოლო თავად პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2011 წლი 14 ივნისამდე. ეს თანხები ზემოხსენებულ 4, 55 მლრდ დოლართან ერთად იმის გარანტია გახდა, რომ საქართველოს თავიდან აეცილებინა სავალუტი კრიზისი [5].

ეკონომიკური კრიზისის ეროვნული ფესვები და „ომის პარადოქსი“

საქართველოს ფინანსური ბაზრის განუვითარებლობამ ხელი შეუწყო იმას, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა არ ყოფილიყო იმდენად მძიმე, რომ მას გამოეწვია საქართველოს ეკონომიკის ნგრევის პროცესი. იმავდროულად

იმის თქმაც, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს არანაირი ზეგავლენა არ ჰქონია საქართველოს ეკონომიკაზე არ არის გამართლებული. კერძოდ, შემცირდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა, იკლო საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა, ხოლო საქართველოს ბანკებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა ევროპული ფინანსური ბაზრებიდან შედარებით დაბალპროცენტიანი სესხები, მათი გლობალური კრიზისით გამოწვეული გაძვირების გამო [6, გვ. 117-118; 7].

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საქართველოში ეკონომიკურ კრიზისს წმინდა ეროვნული ფესვებიც ჰქონდა [8]. მათგან უმთავრესი კი შემდეგია:

1. ქვეყანაში შემოსული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებული იყო საკუთრების უფლების შექმნაზე, მათ შორის პრივატიზაციის გზით, და ნაკლებად იყო განკუთვნილი ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე. შედეგად შეიქმნა აშკარა დისბალანსი ქვეყანაში შემოსულ ფინანსურ რესურსსა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას შორის.
2. მთავრობის მხრიდან სამშენებლო ბიზნესზე მარეგულირებელი ფუნქციის გაუქმების პირობებში ეკონომიკის ამ სექტორში არაერთმა კომპანიამ დაიწყო „ფინანსური პირამიდის“ პრინციპით საქმიანობა, როცა ძველი ვალდებულების შესასრულებლად აღებული საფასური უკვე გახარჯულია, და კომპანია იღებს ახალ ვალდებულებას, რათა ამ გზით შეავსოს ხსენებული დანაკლისი. ადრე თუ გვიან „ფინანსური პირამიდა“ აუცილებლად ჩამოიშლება ხოლმე.
3. საქართველოს ბანკების უდიდესი ნაწილი ევროპის საფინანსო ბაზრებზე მოპოვებული შედარებით იაფი საკრედიტო რესურსის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც წესი, განათავსებდა სამშენებლო ბიზნესსა და სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. ამით, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა ზემოხსენებული „ფინანსური პირამიდის“ მექანიზმის შენარჩუნებას, ხოლო, მეორეს მხრივ, აკრედიტებდა არა

ეროვნულ ეკონომიკას, არამედ იმპორტს. ეს უკანასკნელი, კი აძლიერებდა არსებულ დისბალანსს ქვეყანაში შემოსულ ფინანსურ რესურსსა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას შორის.

ეკონომიკური კრიზისი უშუალოდ აისახა როგორც მთლიანი შიგა პროდუქტის, ისე საგადასახადო შემოსავლების კლებაზეც, რის გამოც 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 2009 წლის ივლისში შევიდა ცვლილება და საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 500 მლნ ლარით, რაც დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების 10, 5%-ს შეადგენდა. თუმცა ბიუჯეტი მაინც გაიზარდა 312 მლნ ლარით, რაც ძირითადად ხსენებული უცხოური დახმარებებით იყო განპირობებული.

საქართველოს ბანკებს 2009 წლის გაზაფხულზე დაუდგათ 500 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საგარეო ვალის დაბრუნების ვადა, რისი რესურსიც საკუთრივ ამ ბანკებს არ გააჩნდათ. ქვეყანას საბანკო კრიზისი თავიდან ააცილა ხსენებულმა უცხოურმა დახმარებებმა, საიდანაც ბანკებმა მიიღეს 636 მლნ აშშ დოლარი, რაც არა მარტო ეყო საგარეო ვალდებულებების გასტუმრებას, არამედ ბანკებს მიეცა სტაბილურიბისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსი [9, გვ. 11].

ის, რომ საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა შეინარჩუნა ეს, უწინარეს ყოვლისა, დონორთა დახმარების დამსახურება იყო, რისი მიღებაც ქვეყანას „გაუადვილა“ რუსულმა აგრესიამ. ომი, და თანაც წაგებული, თავისთავად უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ რომ არა ის, საეჭვოა, რომ საქართველოს გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მიეღწია მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების ოპერატიულად მიღებისათვის, რაც ქმნის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის საფუძველს. მაშასადამე სახეზეა ე.წ. „ომის პარადოქსი“, როცა საქართველოსათვის ძალზედ უარყოფითმა მოვლენამ – ომმა მოგვცა საშუალება თავიდან აგვეცილებინა ეკონომიკური კოლაფსი [10, გვ. 47].

ანტიკრიზისული ღონისძიებები

გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობა, როგორც წესი,

ცდილობს შეიმუშავოს ანტიკრიზისული პროგრამა. იმის გათვალისწინებით, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს მთავრობის არცერთ შემადგენლობას ეკონომიკის განვითარების სრულყოფილი პროგრამა არ მოუშადავია, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არც კრიზისულ ვითარებაში ქვეყანას, სამწუხაროდ, არ გააჩნდა რაიმე პროგრამა.

ის, რისი გაკეთებაც შეძლო მთავრობამ ეს იყო ე.წ. „ახალი ფინანსური პაკეტი“, რომელიც ძირითადად საბანკო და სამშენებლო სექტორებს მოიცავდა.

საბანკო სექტორთან მიმართებაში გადაიდგა ურთიერთ საწინააღმდეგო ნაბიჯები. კერძოდ, ერთი მხრივ, ბანკების მარეგულირებელი ნორმატივების შემსუბუქებით ეროვნული ბანკმა ხელი შეუწყო ქვეყანაში დამატებითი საკრედიტო რესურსის გაჩენას, ხოლო მეორე მხრივ, იმ მიზეზით, რომ კრიზისის პირობებში ბანკებს უჭირდათ კრედიტების განთავსება, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 260 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებათა ემისიის შესახებ. სხვა სიტყვებით მთავრობამ 260 მლნ ლარით შეამცირა ის საკრედიტო რესური, რომელიც შეიძლება წარმართულიყო რეალური სექტორის დასაკრედიტებლად. ამ გზით მოპოვებული ფინანსური რესურსი მთავრობამ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯა.

სახაზინო ვალდებულებათა ემისია ნამდვილად ვერ გამოდგებოდა ანტიკრიზისულ ღონისძიებად – პირიქით საკრედიტო რესურსის შემცირებით მან შეზღუდა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების შესაძლებლობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ სახაზინო ვალდებულებათა ემისიის გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ხაზინის ანგარიშზე მას აქვს თავისუფალი თანხა 50 მლნ ლარის ოდენობით და მისი უკეთ გამოყენების მიზნით გამოაცხადა ტენდერი ბანკებს შორის, რის შედეგადაც ეს თანხა ასესხა ტენდერში გამარჯვებულ ბანკს. საყურადღებოა, რომ ტენდერში გაიმარჯვა ერთ-ერთმა ყველაზე პრობლემურმა ბანკმა, რომელსაც ამ ფულით მიეცა შესაძლებლობა ეყიდა სახაზინო

ვალდებულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა საკუთარ ფულშივე მოცემულ ბანკს პროცენტებს შორის სხვაობა გადაუხადა. ეს ოპერაცია აშკარად საეჭვო ხასიათის იყო.

რაც შეეხება სამშენებლო სექტორის მხარდაჭერას, ამ მიზნით თბილისის მერიის გარანტიის ქვეშ სამშენებლო კომპანიებს შეეძლებათ საბანკო სესხების აღება ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის გასანახლებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო კომპანიებს შორის არაერთი მათგანი ფუნქციონირებდა და ჯერ კიდევ ფუნქციონირებს „ფინანსური პირამიდის“ მექანიზმით, მთავრობის მიერ ხსენებული ღონისძიების გატარებას წინ უნდა დართვოდა ამ ტიპის კომპანიების მიმართ გაკოტრების პროცედურების ინიცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში სამშენებლო სექტორისადმი ხსენებული მხარდაჭერა „ფინანსური პირამიდების“ მხარდაჭერაცაა, რაც საბოლოო ჯამში მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია არა მარტო სამშენებლო, არამედ საბანკო სექტორისთვისაც, რომ არაფერი ვთქვათ თბილისის ბიუჯეტის შეაბამისი ნაწილის არამიზნობრივ ხარჯვაზე [9].

სამწუხაროდ, ხსენებული „ახალი ფინანსური პაკეტი“ საერთოდ არ ითვალისწინებდა რაიმე ღონისძიებებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რაც, როგორც წესი, რეკომენდებულია კრიზისის პირობებში მოთხოვნის სტიმულირების მიზნით.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსის შეცვლა

2008 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობამ საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს ჩამოაშორა, ხოლო თვით ეროვნულ ბანკს ერთადერთი ფუნქცია – ინფლაციის რეგულირება დაუტოვა. ამასთან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა დაუკავშირა ინფლაციის წლიურ დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევას, რამაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მთავრობაზე დამოკიდებული გახადა, რამეთუ მთავრობის ხელთაა წლიური ინფლაციის დონეზე ზეგავლენის არანაკლები ძალის მქონე საბიუჯეტო ინსტრუმენტები, ვიდრე ეს ეროვნული ბანკის განკარგულებაშია.

სამწუხაროა, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს საქართველოს ეროვნული ბანკი აშკარად დასუსტებული შეხვდა.

2009 წელს მომზადდა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ეროვნული ბანკის შესახებ ახალი კანონი, რომლის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამოღებულია ინფლაციის წლიური დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხსენებული პასუხისმგებლობის საკითხი. კანონის თანახმად ეროვნულ ბანკში დაბრუნდა ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, რაც აბსოლუტურად გამართლებულია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არ უღიარებია ეროვნული ბანკის ინსტიტუციურ დასუსტებაში დაშვებული შეცდომა, მისასალმებელია ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგმება 2009 წელს ამ შეცდომების გამოსწორების მიმართულებით.

ევროობლიგაციების ემისია

2008 წლის აპრილში მთავრობამ ხუთწლიანი ევროობლიგაციების გამოშვებით საქართველოს საგარეო ვალი 500 მლნ. აშშ დოლარით გაუზარდა. ამ ვალის მომსახურების წლიური პროცენტი 7, 5 შეადგენს, ხოლო დაფარვის ვადა 2013 წელია. სამწუხაროდ, თავიდანვე არ ყოფილა მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხი იმის შესახებ, თუ რისთვის გაზარდა საქართველოს მთავრობამ ქვეყნის საგარეო ვალი. ჯერ ითქვა, რომ მთავრობა აპირებდა ამ თანხის ენერგეტიკულ პროექტებზე (გაზსაცავისა და მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა) დახარჯვას, მოგვიანებით კი მთავრობამ გააჟღერა, რომ 250 მლნ აშშ დოლარი აკუმულირებულ იქნა მომავალი თაობების ფონდში, თუმცა მეორე 250 მლნ აშშ დოლარის ბედზე რაიმე კომენტარი არ გაკეთებულა.

იმის გამო, რომ 2013 წელს საქართველოს მთავრობას ამ ვალის გასტუმრების შესაძლებლობა არ ექნებოდა 2011 წელს საქართველოს მთავრობამ კვალვ გამოუშვა ევროობლიგაციები, უკვე ათწლიანი ვადით, რითაც მოხდა 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების 85 პროცენტის დაფარვის ვადის გადაწევა 2021 წლისათვის. 2011 წელს გადადმული ნაბიჯი პოზიტიურად უნდა

იქნეს შეფასებული, რადგანაც ის ემსახურება 2008 წელს დაშვებული შეცდომის გასწორებას.

2011 წელს ევროობლიგაციების ემისიის საკითხის პარლამენტში განხილვისას ითქვა, რომ 2008 წელს ემისირებული ევროობლიგაციებით მოხდა ომით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შემსუბუქება, თუმცა დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა იმის შესახებ, თუ სად იყო სულ ცოტა 250 მლნ აშშ დოლარი 2008 წლის აპრილიდან (როცა მოხდა ევროობლიგაციების ემისია) 2008 წლის აგვისტომდე (რუსეთ-საქართველოს ომამდე).

„მწვანე პარასკევი“

2008 წლის 7 ნოემბერს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ აშშ დოლარზე, მათი მხრიდან ნულოვანი მიწოდების პირობებში (როგორც ეს იყო ბოლო ერთ თვეზე მეტი დროის განმავლობაში) 31 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ეროვნულმა ბანკმა ეს მოთხოვნა მხოლოდ 270 ათასი აშშ დოლარით დააკმაყოფილა და შემდეგ საბირჟო ვაჭრობა შეწყვიტა ვითომდა ტექნიკური მიზეზების გამო. ამან კი იმავე დღესვე შექმნა პანიკა: ბანკომატები ფულისაგან მყისიერად დაცარიელდა, ხოლო გადამცვლელმა ჯიხურებმა დოლარის კურსი მნიშვნელოვნად აწიეს, თანაც ხშირ შემთხვევაში უარს ამბობდნენ დოლარის გაყიდვაზე. ასე, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქვეყანას „მწვანე პარასკევი“ მოუწყო [12]. საქართველოს სავალუტო ბაზარზე პანიკური დაბნეულობა შაბათ-კვირასაც გაგრძელდა. საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვები და მათი შევსების გარანტირებული წყარო დონორთა დახმარების სახით იძლეოდა იმის ობიექტურ საფუძველს, რომ ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრის პროცესში ნახტომები გამორიცხული ყოფილიყო.

სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და მთავრობის კომენტარები „მწვანე პარასკევთან“ დაკავშირებით არ იყო დამაკმაყოფილებელი. კერძოდ, ითქვა, რომ ლარის ნახტომისებურ გაუფასურებას ფასების ზრდა არ მოჰყოლიაო, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ფასების ზრდა კი განპირობებული იყო იმით, რომ იმპორტი ოთხჯერ აღემატება ექსპორტს და ამ ვითარებაში ლარის ნახტომისებური გაუფასურება იმპორტული საქონლის გაძვირებაზე მყისიერად აისახა.

2009 წლიდან ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ოპერაციები ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე და ის ჩაანაცვლა სავალუტო აუქციონის მექანიზმით, რომელსაც ატარებს ბლუუმბერგის სისტემით. სამწუხაროდ, ამის შემდეგ პრაქტიკულად ძნელად მოსაპოვებელი გახდა ინფორმაცია სავალუტო რეზერვების დინამიკის შესახებ, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ კვლავ არ იქნეს გამეორებული „მწვანე პარასკევის“ მწარე გაკვეთილი.

დასკვნა

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში საბოლოოდ გამოიკვეთა ეკონომიკური კრიზისისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ის, რომ ეკონომიკამ შეინარჩუნა მდგარდობა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი არ მცირდება ეს უწინარეს ყოვლისა დონორთა იმ ფინანსური დახმარების შედეგია, რომლის საქართველოსათვის, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლისათვის გამოყოფაც 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში ჩატარებულ კონფერენციაზე გადაწყდა. სამწუხაროდ, კრიზისის დროს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და შემუშავებული და გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა, ვ. „ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები“. წიგნში: ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.
2. კაკულია, მ. „ომის შემდგომი ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და მათი ნეიტრალიზაციის გზები“. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, 2008, ოქტომბერი, <http://www.geplac.com/newfiles/GeorgianEconomicTrends/2008/October%202008%20%20%28geo%29.pdf>.
3. Papava, V. „Post-War Georgia’s Economic Challenges“. Central Asia-Caucasus Analyst, 2008, Vol. 10, No. 23, November 26, <http://www.cacianalyst.org/?q=node/4991>.
4. პაპავა, ვ. ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა ფინანსური დახმარების ასახვა საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში. თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, 2009.
5. Aris, B. „Donor Money Keeps Georgia Afloat“. bne – businessnewseurope, 2009, July 22, http://www.bne.eu/story1693/Donor_money_keeps_Georgia_afloat.
6. Narmania, D. „Economic Policy in Georgia: Liberalization, Economic Crises and Changes“. Turkish Policy Quarterly, 2009, Vol. 8, No. 2, http://www.ciesr.org/uploads/publications/tpq_davitnarmania.pdf.
7. Silagadze, A., 2010. „Current Financial and Monetary Trends in Georgia“. The Caucasus & Globalization, Vol. 4, Iss. 1-2.
8. პაპავა, ვ. „საქართველოს ეკონომიკა: შეცდომები, საფრთხეები, მათი დაძლევის გზები“. წიგნში: 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. რედ. ს. ცისკარიშვილი. თბილისი: დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2009.
9. Georgia Joint Needs Assessment. Donor Funding in Support of Post-Conflict Recovery and Reconstruction. Progress Report, June 30. New York and Washington D. C. : The United Nations and The World Bank, 2009, http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=5994.
10. Papava, V. The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis. Xenophon Paper, No. 9. Athens: ICBSS, 2010, http://icbss.org/images/papers/xenophon_paper_no9.pdf.
11. ჯიბუტი, მ., ი. მესხია, ვ. პაპავა, დ. ბასიაშვილი, და მ. თოქმაზიშვილი. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი: მონიტორინგის ანგარიში. თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2011.
12. Papava, V. „Georgia’s Green Friday“. The Georgian Times, 2008, November 17, <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=13663>.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

- http://books.ge/product_id.php?code=3149
- http://books.ge/product_id.php?code=10608
- http://books.ge/product_id.php?code=10603
- http://books.ge/product_id.php?code=10601
- http://books.ge/product_id.php?code=10904
- http://books.ge/product_id.php?code=3072
- http://books.ge/product_id.php?code=10604
- http://books.ge/product_id.php?code=10609
- http://books.ge/product_id.php?code=10599
- http://books.ge/product_id.php?code=10606